

ძველი ქართული ენის მეცნიერება. 11.

**ფსალმუნის
ძველი ქართული რედაქციები**
X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით

გამოსცა მზექალა შანიძემ

I. ტაყსტი

ახლავს 11 ტაბულა

რედაქტორი ა. შანიძე

შინაარსი

წინახიტყვაობა	09
შეხავალი	011
ფსალმუნნი .	1
გალობანი	411
დანართი I	
თქუმული ნეტარისა ათანასი მთავარეპისკოპოსისა აღექვან- დრიელისაჲ ძალისათჳს ფსალმუნთაჲსა	446
მოდღუართა მიერ გამოკრებილი წამებისათჳს ფსალმუნთაჲსა ...	452
განყოფისათჳს ფსალმუნთაჲსა	458
დანართი II	
ცნობისათჳს და უწყებისათჳს .	461
საძიებელნი ფსალმუნთანი	
განწესებაჲ გამოკრებით	469
კანონნი დღისა და ღამისანი	470
დიაფსალმაჲ	—
განწესებაჲ	—
რაოდენ არიან კანონნი	475
თავი ყოველთა ფსალმუნთაჲ	476
გიორგისეული რედაქციის ვარიანტები	479

ქ ა ნ ო ნ ი ბ ი ¹

ქ ა ნ ო ნ ი	ფს.	გვ.	ქ ა ნ ო ნ ი	ფს.	გვ.
—	ა	1 1	—	იბ	81 221 (85 229)
—	ბ	9 14	—	იგ	89 244 (91 250)
—	გ	17 32	—	იდ	98 266 (101 276)
—	დ	24 54	—	იე	104 284 (105 290)
—	ე	32 75	—	ივ	107 304 (109 311)
—	ვ	37 93	—	იზ	118 328
—	ზ	44 112 (46 118)	—	იშ	119 353
—	თ	51 132 (55 141)	—	იო	134 372
—	ი	60 152 (64 160)	—	იკ	142 391 (143 393)
—	კ	68 173 (70 179)			
—	ქ	74 195 (77 202)			

¹ ფრანზილებში ჩასმულია გიორგისეული რედაქციის ფსალმუნის რიცხვთა და სათანადო გვერდის.

წინასიტყვაობა

ფსალმუნი ქართულად IV საუკუნეში თუ არა, V-ში მაინც უნდა იყოს ხათარკმნი. მაშასადამე, იგი ეკუთვნის ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლების რიცხვს.

ფსალმუნის ჰირვანდელი თარგმანი, ოოსთავის მსგავსად, შემდეგში რამდენჯერმე იქნა გადახედული და შესწორებული, უკანასკნელად—XI საუკუნეში ცნობილი ლიტერატორის გიორგი მთაწმიდლის მიერ. შესწორებათა მიუხედავად, შიგ მაინც ბევრი დარჩა ქართული ენის ძველი ვითარების ამსახველი სიტყვები და ფორმები.

ფსალმუნის ტექსტის შემცველ ხელნაწერთა შესწავლამ გამოარკვია, რომ ქართულ ენაზე მოიპოვება სამი რედაქცია, რომლებიც ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებიან როგორც შინაარსეულად—სხვა ენებზე არსებულ ვერსიებთან მიმართებით, — ისე სიტყვების შერჩევით. ორიოდე მაგალითი: ერთ რედაქციაში იკითხება: „შობა — აკაზანი სასოებასა ჩემისაჲ“ (ფს. 107, 10), მეორეში: „შობა — ეშბაზი სასოებისა ჩემისაჲ“, მესამეში: „შობა — სიაკი სასოებისა ჩემისაჲ“. მასადაამე, დასახელებულ ადგილას აკაზანი, ეშბაზი და სიაკი სინონიმებია, რომლებიც გვიჩვენებენ ქართული ენის ლექსიკურ შესჯერებას სპარსულთან, ბერძნულთან და სომხურთან. სხვა მაგალითი: ფრაზა „არცა უკუნისამდე დაჰმარხოს მანკიერებაჲ“ (ფს. 102, 9). რომელიც უძველეს რედაქციაში იკითხება, გიორგისეულში ასეა წარმოდგენილი: „არცა უკუნისამდე მური იტსენოს“. უძველეს რედაქციაში იკითხება: „მოკვიდინ სიკუდილი მათ ზედა და ცოკელნი შთაქდენ იგინი ჯოჯოხეთად“ (ფს. 54, 16); შემდგომი რედაქციაც არსებითად ჰირველს მიხედვს: „... და ცოკელიც შთაქდენ იგინი ჯოჯოხეთა“, მაგრამ უკანასკნელ რედაქტორს საჭიროდ უცნია, რომ „ცოკელ“ სიტყვის ნაცვლად „ცოცხალი“ ემშარა: „... და ცოცხელიც შთაქდენ იგინი ჯოჯოხეთად“. დღეს კი ორივე სიტყვა („ცოკელიც“ და „ცოცხელიც“) გაუგებარია და მათ მაგივრად „ცოცხლად“ იშვარება.

მეცნიერულ-კრიტიკულად გამოცემული ძველი ტექსტები მკვიდრი საფუძველია ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერებისა: სხვადასხვა ბნელით მოცული საკითხის ერის ისტორიიდან, მისი ენისა და ლიტერატურის ისტორიიდან, ეკონომიკის ისტორიიდან და სხვა დარგიდან მსოფლოდ მამინ შეიძლება გაირკვეს, თუ სათანადო წერილობითი ძეგლებს კრიტიკულად არის დამუშავებული და სანდოდ გამოცემული. მსოფლოდ ამის შემდეგ შეიძლება გაადვილდეს ისტორიული ლექსიკონის შედგენა და გამოცემა და სხვა.

კაი ხანია განზრახული გეკონდა, გამოგვეცა ფსალმუნი, ეს უპირფასესი მოწმე ქართული ენის ისტორიისა, მაგრამ მსოფლოდ ვხვალა მოგვეცა საშუალება, რომ იგი სპეციალისტებს მივაწოდოთ იმ ხანით, როგორც ეს შეშვენის ქართული ფილოლოგიის განვითარების დღევანდელ დონეს.

ა. შ.

თბილისი

26.6.1960

შესავალი

I. გამოცემის მიზანი

[რუსეთში გადახვეწილმა არჩილ მეფემ 1705 წელს მოსკოვში გამართო სტამბა და დაბეჭდა ქართული ფსალმუნი. ერთად-ერთი წიგნი, რომლის გამოქვეყნებაც დასცალდა არჩილს¹, არსებითად ქართული ბეჭდვითი სიტყვის დასაწყისის წარმოადგენს: XVII საუკუნეში რომში გამოსული ხუთიოდე წიგნის შემდეგ ეს იყო პირველი, რომელიც რუსეთსა და საქართველოში ქართულ ენაზე დაიბეჭდა. ვახტანგ მეექვსემ სტამბის დაარსების თანავე ფსალმუნიც დაბეჭდა (1709 წ.) და შემდეგ იგი კიდევ სამჯერ გაიბეჭდა: 1711 (მხედრული შრიფტით), 1712 და 1716 წწ. ბაქარმაც, სტამბა რომ განაახლა მოსკოვში, პირველად ფსალმუნს მოჰკიდა ხელი დასაბეჭდად (1737). ამის შემდეგაც ფსალმუნი კიდევ ბევრჯერ დასტამბულა ქართულად-მომდევნო გამოცემათა რიცხვი ოცამდე აღწევს², თუ არ მივათვლით ძველი თუ ახალი აღთქმის წიგნებთან ერთად დაბეჭდილ ფსალმუნს.

ასეთ ინტერესს ძველი აღთქმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წიგნისადმი, რა თქმა უნდა, საფუძვლად მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკული საჭიროება ედგა; ამიტომ ყველა ზემოთ დასახელებულ გამოცემაში ქართული ფსალმუნის მხოლოდ ის ვერსია არის დაბეჭდილი, რომელიც საყოველთაოდ იყო მიღებული საქართველოს ეკლესიის მიერ XI ს.-ის შემდეგ, ე. ი. დავითნის გიორგი მთაწმიდლის თარგმანი.

ქართული ფსალმუნის სხვა ძველი ვერსიები, რომლებიც გიორგი ათონელის რედაქციას ქრონოლოგიურად უსწრებს, სრული სახით დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. მ. ჯანაშიელმა დაბეჭდა რამდენიმე ფსალმუნი შემოკლებით საეკლესიო მუზეუმის № 38 ხელნაწერის მიხედვით³, რომელსაც „მცხეთის დავითნი“ ეწოდებოდა. ა. შანიძემ გამოაქვეყნა ორი პატარა ნაწყვეტი: ერთი—ზემოთ დასახელებული ხელნაწერიდან, მეორე—სინას მთის კილზე ნაწერი ფსალმუნის იმ ორი ფურცლიდან.⁴ რომელიც პ. უსპენსკიმ პეტერ-

¹ ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 80.

² გამოცემის წლები (ქართული წიგნის მიხედვით): 1749, 1763, მოსკოვი 1764, მოსკ. 1768, 1783-88, 1790, 1784-95, ქუთაისი 1800, ქუთ. 1807, მოსკ. 1821, მოსკ. 1824, მოსკ. 1850, მოსკ. 1855. მოსკ. 1862, 1867, 1873, 1879, 1880, 1881 (სადაც გამოცემის ადგილი აღნიშნული არაა, ნაგულისხმევია თბილისი).

³ მ. ჯანაშიელი, ქართული მწერლობა, I, 1900, გვ. 235—252. დაბეჭდილია ფსალმუნი 1, 2, 4, 6—8, 50 (არასრულად) და ცალკეული მუხლები სხვა ფსალმუნებიდან.

⁴ А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, II, 1889, გვ. 51 — 53. აღწერილობას ერთვის ხელნაწერის ერთი გვერდის ფაქსიმილე.

ბურგში ჩაიტანა¹. რამდენიმე ფსალმუნი „მცხეთის დავითის“ მიხედვით დაბეჭდა ი. იმნაიშვილმა².

ძველი რედაქციები ქართული ფსალმუნისა სრული სახით პირველად ამ გამოცემაშია წარმოდგენილი. მათი გამოცემის საპირობება უპირველეს ყოვლისა ნაკარნახევია იმით, რომ დავითნი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი ძველი ქართული ენისა. თუმცა ხელნაწერები, რაც კი მოგვეპოვება, მხოლოდ X და მომდევნო საუკუნეებისაა, მაგრამ ისინიც საყურადღებო მასალას გვაწვდიან ძველი ქართული ენის შესასწავლად. გარდა ამისა, ბევრი რამ კიდევ უფრო აღრინდელია შემორჩენილი იმ რედაქციებშიც, რომლებსაც ჩვენამდე ნოულწევია, როგორც ამას ტექსტის შესწავლა ადასტურებს, და ეს კიდევ უფრო აძლიერებს ინტერესს ფსალმუნის ქართული ვერსიებისადმი.

გიორგი მთაწმიდლის თარგმანიც ბევრ საგულისხმოს იძლევა საენათმეცნიერო თვალსაზრისით: იგი ძველი და საშუალი ქართულის მიჯნაზეა შესრულებული. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით, ორ ძველ რედაქციასთან ერთად გიორგისეულიც გამოვექვეყნებინა. არსებული გამოცემები ამ უკანასკნელისა ენობრივი დაკვირვებისათვის ნაკლებ გამოსადეგია: ტექსტი სრულიად მოკლებულია კრიტიკულ აპარატს და ხშირად შერყვნილია, საგნის კორექტურული შეცდომებით და შეუძლებელი ფორმებით; ორთოგრაფია გვიანდელია, პუნქტუაცია—რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სინტაქსურად რთული პოეტური ხასიათის ტექსტის აზრის გასარკვევად,—უვარგისია. ამ რედაქციაზე მუშაობას გვიძნელებდა ერთი გარემოება: აუარებელ ხელნაწერებში ერთიც არ მოიძებნა აღრინდელი, XI საუკუნისა თუ არა, XII-ისა მაინც. მაგრამ რომლებიც ჩვენ გამოსაცემად შევარჩიეთ, საკმაოდ მყარ ლინგვისტურ ნორმებს გვიჩვენებს, ასე რომ მათ მიერ წარმოდგენილი სურათი სანდო ჩანს გიორგი მთაწმიდლის ხელიდან გამოსული ტექსტის ენობრივი მხარეების გასათვალისწინებლად.

დაბოლოს, უნდა ითქვას ისიც, რომ ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის წარმომავლობის გარკვევა, ფილოლოგიური შესწავლა და რედაქციების ურთიერთმიმართების დადგენა მხოლოდ პარალელური ტექსტების შესწავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი. ეს გარემოებაც იყო მხედველობაში მიღებული ჩვენი გამოცემის მომზადების დროს.

წინამდებარე პირველ ტომში დაბეჭდილია ტექსტები. მეორეში კი, რომელიც ამჟამად შზადდება, გამოქვეყნებული იქნება ფსალმუნის ლექსიკური შედგენილობა (სამივე რედაქციის მიხედვით), ე. წ. სიმფონია ძნელოვან სიტყვათა განმარტებითურთ. მას დაერთვის ნარკვევი ძეგლის ძირითად ენობრივ და რედაქციულ თავისებურებათა შესახებ.

¹ ა. შანიძე, ძველი ქართულის ქრესტომათია, 1935, გვ. 43—44 (დაბეჭდილია ფს. 108. 1—22, 118, 68—80), 109.

² ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, გამოცემული ი. იმნაიშვილის მიერ, II გამოცემა, 1953, გვ. 137—146 (გამოცემულია ფს. 50—51, 57—66, 67-ის ნაწილი, 68).

II. ხელნაწიკთა აღწერილობა

გამოცემაში დაბეჭდილია სამი რედაქცია ქართული ფსალმუნისა: ორი ძველი, ათონაძეული (რომლებსაც C და Գ-ს ვუწოდებთ) და გიორგი მთაწმიდლისეული (მას Զ რედაქცია შევარქვით). გამოცემისათვის გამოყენებულია ცხრა ხელნაწერი, დათქმით A, B, C, D, E, F, G, H, L. C რედაქციას წარმოგვიდგენს ერთადერთი A ხელნაწერი, Գ-ში შედის ხუთი: B, C, D, E, F, Զ-ში კი—დანარჩენი სამი: G, H, L¹.

C რედაქცია

ხელნაწერი A („მცხეთის დავითნი“). ყოფილი საეკლესიო მუხ. № 38, ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტის A — 38 ხელნაწერია. აღწერილი აქვთ თ. ეორდანიას² და მ. ჯანაშვილს³. შეიცავს 261 ფ-ს. ზომა 20×15,5 სმ., დაწერილია ეტრატზე. ხელნაწერი კარგადაა შენახული, აკლია ერთი ფურცელი (246—247 შუა)⁴, გვერდები 1 r, 2 r, 23 v, 249 v, თავდაპირველად ცარიელი, მერმეა გამოყენებული სხვადასხვა გვიანდელი მინაწერებისთვის. მცირეოდენი შესწორება აქა-იქ ტექსტში თვით გადაწერის შეტანილი უნდა იყოს. გარდა ასეთი ცვლილებებისა, ტექსტს გვიანდელი რესტავრაცია, ინტერპოლაცია ან რედაქტორის ხელი არ ეტყობა⁵. ტექსტი ნაწერია საუცხოო კალიგრაფიული ასომთავრულით (ტაბ. 2), ზოგან გვეხედება თითო-ოროლა სიტყვა ნუსხურითაც. მელანი მოყავისფროა, ზოგჯერ ამოხუნებული. სათაურები, ინიციალები და ზოგი სხვა რამ სინგურითაა. სასვენი ნიშნებია სამწერტილი და ორწერტილი.

ფსალმუნებს და გალობებს ფურცლის გარეთა კიდეზე გასდევს მუხლთა ორმაგი სათვალავი: სინგურით—თვითეულ ფსალმუნში შემავალი მუხლებისა (თანაც მუხლების რაოდენობა თვითეული ფსალმუნის ბოლოშია აღნიშნული), შავი საწერლით—ერთიანი სათვალავი მუხლთა საერთო რაოდენობისა ფსალმუნში. ფსალმუნის ტექსტის ბოლოს სინგურით: „ყოვლად შეკრებათ ფსალმუნნი რნ, მუქლი ცუ.“⁶ ზოგიერთ ფსალმუნში (11, 14, 16) გრძელდება წინამავალი ფსალმუნის მუხლთა სათვალავი.

ხელნაწერის სამკაულს შეადგენს: ჯვარი (2 v, ტაბ. 1) და ხუთი კამარა (247 r—249 r; ერთი მათგანი ტაბ. 5).

¹ ჩვენ ხელთ გვეკონდა A და F ხელნაწერები. დანარჩენებისათვის გამოყენებულია ფოტოპირები. ამიტომ B, C, D, E, F, H, L ხელნაწერთა აღწერილობა მოკლეა და შესრულებულია არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ფოტოსურათების მიხედვით.

² თ. ეორდანიას, ქრონიკები, გვ. 93—94; Ф. К о р д а н и я, Описание рукописей персидского языка, I, გვ. 29—34.

³ მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, ..., გვ. 139—142.

⁴ რვეულებია Է—ფ, C—Կ Խ—Կ 3 უნომრო რვ. პაგინაცია (მელნით) გვიანდელია: შესრულებულია 1856 წ. ლიტერატურაში გვერდები ამ ძველი პაგინაციის მიხედვითა ჩითითებული, თუმცა იგი შემოღლია. ფანჭით ხედა კიდევ ახლად გაკეთებულია სწორი პაგინაცია, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ. ერთგან რვეულები (რომლებშიც 8—8 ფ. შედის) არეულადაა აკინძული, ამიტომ დარღვეულია ფურცლების თანმიმდევრობა. სწორი რიგი აქეთია: 218, 223—228, 219—222, 229 და შემდგომი.

⁵ ოღონდ ფსალმუნის ბოლოში ზოგიერთი რიცხვი ჩამატებულია სხვა ხელით.

ეს ხელნაწერი თავისი შედგენილობით მეტად საინტერესოა. შიგ, ძირითადი ტექსტის გარდა, შეტანილია კიდევ რამდენიმე თხზულება, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულია ფსალმუნთან¹. მასში შედის:

1. ფსალმუნი 151 (3r).

2. „თქმული ნეტარისა ათანასი მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისაჲ, ვითარ-იგი დიდითა წადიერებითა გულს-მოდგინე ყოფილ არს გამოკვლევად ძალსა ფსალმუნთასა და უპოვნია ვინმე მოხუცებული ერთი მარტოდ ღყოფი, საესმ მადლითა სულისა წმიდისაჲთა და მისგან ზედა მიწვეწულ არს ძალსა ფსალმუნთასა გულისხმის-ყოფად“ (4r—14r).

3. ნოძღუართა მიერ გამოკრებილი დავითის ფსალმუნთაგან და სხუათაცა წინასწარმეტყუელთა“ (14r—20v)².

4. [„განყოფისათჳს ფსალმუნთაჲსა“] (21r—23r).³

5. ფსალმუნები 1—150 (24r—216v). ამ ნაწილს არც ამ ხელნაწერში და საზოგადოდ არც ერთს ჩვენ მიერ გამოყენებულ ნუსხაში საერთო სათაური არა აქვს. სინგურით გამოყვანილ ქანწილს მოსდევს: „ფნი ა. ნეტარ არს“ და ა. შ.

6. ვალობანი (217r—236v), სათაური არც ამ ნაწილს აქვს.

7. „ცნობისათჳს და უწყებისათჳს ქეშმარტად, რომელი მოგუეთხრა ჩუენ მოძღუართა მიერ მართლმორწმუნეთა განსაზღვრებული განოძიებისათჳს ეამთა და წელიწადთა, მცხრალისათჳს და ნაკისათჳს, შუდეულისათჳს და დღისაძიებელისათჳს (237r—246v). ეს სათაური აერთიანებს სხვადასხვა ხასიათის თხზულებათა ფრაგმენტებს. მას ბოლოში ერთვის ცხრილი, რომელშიაც მოცემულია მცხრალის რიცხვები 532 წლიანი ციკლისა აღდგომის გამოსაანგარიშებლად: „ესე ქორნიკონ(ს) გამოკრებილ[ნი] დღენი ოდენ არიან მცხრალისანი ფლბ. ცხრილში რიცხვები ნაწერია ნუსხური ასოებით, შავ-წითლად. სინგურითაა გამოყვანილი ნაკიანი წლების რიცხვები. ცხრილის ბოლოს მსხვილად, სინგურით ჩამოწერილია არაბული ციფრები (ტაბ. 4). ეს ციფრები თ. ქორდანიას უცნობი ანბანის ასოებად მიუჩნევია⁴; მ. ჯანაშვილს კი მითითებული აქვს, ეს ნიშნები „არაბული ციფ-

¹ რ. ბლეიკი აღნიშნავს, რომ A ხელნაწერი თავისი შედგენილობით უახლოვდება ე. წ. Codex Alexandrinus-ს. (R. Blake, The Athos Codex of the Georgian Old Testament: Harv. Theol. Review. XXII, 1929, ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 55. სანწუხაროდ, ჩვენ შესაძლებლობა არ გვქონდა, გვესარგებლა ამ ხელნაწერით ან მისი საგანგებო გამოცემებით (ამის შესახებ ნახეთ The Codex Sinaiticus and the Codex Alexandrinus, Published by the Trustees of the British Museum. 1955, გვ. 40). ასე რომ ყოფილიყო, A ხელნაწერში შენეავალი ზოგი ტექსტის რაობის გარკვევა უკეთ მოხერხდებოდა.

² ბოლოში ტექსტის ხელით სინგურით: ასუ'ლი, სიო'ნი, სო'ო.

³ ბოლოში ტექსტის ხელით სინგურით: ს ... ბუვი
თ ... ბუვი
ო ... ვარხვ
ს ... ოფოფი.

⁴ Описание, გვ. 31.

რებიოა¹. A ხელნაწერის არაბული ციფრები უკვე რამდენჯერმეა გამოქვეყნებული².

8. კამარებში შეტანილი ტექსტის ნაწილი ისეთივე ხასიათისაა, როგორც მომდევნო „განგებაჲ ფსალმუნთაჲ“ (247 რ—249 რ). ამ ნაწილს თავი აკლია (ფურცელია ამოჭრილი). აქ მოცემულია ცნობები, თუ რა შემთხვევის გამოა ესა თუ ის ფსალმუნი დაწერილი (247 რ), ვის ეკუთვნის იგი (247 ვ—248 ვ), და „კანონნი დღისა და ღამისანი“ (248 ვ). მას მოსდევს დიაფსალმისანუ განსუენებ ის მნიშვნელობის განმარტება (249 რ).

9. „განწესებაჲ, რომელთა ენებოს გულისხმის-ყოფაჲ საფსალმუნეთაჲ მათ, რაჲთა აღმოკითხვითა ამისითა აღვილად შემძლებელ იქმნენ ზედა-მიწვენად და ცნობად ფსალმუნად-ფსალმუნადისაჲ, ვისი თქუმული იყოს და რადენი ვის უთქუამს, გინა რაჲსთჳს თქმულ არს და რიცხჳ მუქლისაჲ რაოდენი აქუს ფსალმუნსა გინა თუ ყოველნი ერთ რიცხუად.“ (250 რ—258 რ).

10. „რაოდენ არიან კანონნი და რაოდენი აქუს თითოეულსა ფსალმუნი და მუქლი ქართულითა ენითა“ (258 რ—259 რ). სწორედ აქაა მოთავსებული ის საყურადღებო ცნობა ქართული ფსალმუნების განსხვავებული დაყოფის შესახებ, რომელსაც არა ერთგზის მიუქცევია სპეციალისტთა ყურადღება³.

11. „თავი ყოველთა ფსალმუნთაჲ, აღწერილი მიწყებით სრულიად“ (259 ვ—261 ვ). ესაა სარჩევი, სადაც რიგზეა ჩამოწერილი ფსალმუნთა დასაწყისები.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ მ. ჯანაშვილმა A ხელნაწერიდან ზოგიერთი ფსალმუნი გამოაქვეყნა. დავსძენთ იმასაც, რომ ამ ხელნაწერში შემავალი სხვა თხზულებებიც მან იქვე დაბეჭდა შემოკლებული სახით⁴. წინამდებარე გამოცემაში A ხელნაწერის ყველა ნაწილი სრულადაა გამოქვეყნებული.

ამ საინტერესო ხელნაწერს არა აქვს ანდერძი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ერთბაშად გავკერკვია ვადამწერის ვინაობა და ვადაწერის დრო. ცნობა, რომელსაც ემყარება ყველა მკვლევარი A-ს ვადაწერის თარიღის დადგენისას, მოთავსებულია თხზულებაში: „გამომძიებისათჳს ჟამთა და წელიწადთა.“ ნაწარმოები იწყება ასე: „დასაბამითგან რომელ წელნი გარდასრულ არიან, ესრტთ იცნობების: ჯუარ-ცუმამდე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისა წელნი ჭფლდ, შემდგომად ჯუარ-ცუმისა ვიდრე მოაქამომდე შოღ“. რიცხვების წაკითხვა არაერთარ ექვს არ იწვევს: ისინი ტექსტის ხელითაა მსხვილად სინგურით გამოყვანილი (237 რ, ტაბ. 3). ის მნიშვნელოვანი სხვაობა A-ს ვადართილებაში, რომელიც ლიტერატურაში გვხვდება, შედგება ზემოთ-მოყვანილი ცნობის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციისა.

¹ ქართული მწერლობა, გვ. 183.

² A. Ш а п л д з е, *Новооткрытый алфавит елвезаских албанцев и его значение для науки*. Изв. ИЯИМК, IV, 1938, გვ. 23; ვარდა ამისა, ეს ციფრები მოყვანილია საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში (1946 წ. გამოცემა, გვ. 145. 1946 წლის რუსული გამოცემა, გვ. 150) და სხვაგანაც.

³ Ф. Ж о р д а н и я, *Описание*, გვ. 33. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 417.

⁴ ქართული მწერლობა, გვ. 143—191.

სულ პირველად A-ს თარიღის საკითხს შეეხო თ. ჟორდანიას, რომელიც წერდა: „აქ ჯვარცმის მაგიერ უგულისხმებიათ დაბადება ქრისტესი არა შეცდომით, არამედ ჩვეულებით და ამის გამო ხელნაწერი უსათუოდ 974 წ. ეკუთვნის და არა 974 + 34 = 1008 წელსო“¹. აქ რომ „ჯვარცმიდან“ თითქოს იმასვე ნიშნავდეს, რასაც „დაბადებიდან“, თ. ჟორდანიას ისე შეუქველი ჰგონებია, რომ თავის აღწერილობაში იგი შემდგომში უკვე პირდაპირ წერდა, ყოველგვარი შენიშვნის გარეშე: „в какой-либо статье указывается, что от рождения Христова до настоящего времени (прошло) 974 года, какое и есть время написания настоящей рукописи“². ასევე ათარიღებს ხელნაწერს მ. ჯანაშვილიც³.

ამავე ხელნაწერის გადაწერის თარიღის საკითხს საგანგებოდ შეეხო კ. კეკელიძე⁴. იგი მიუთითებდა, რომ ჰქვალდ წელი გულისხმობს 5500 წელს ქვეყნის დასაბამიდან ქრისტეს დაბადებამდე (ანიანე ალექსანდრიელის სისტემით ნავარაუდევსო) + 34 წელი ქრისტეს სიცოცხლისაო. „დასაბამითგან“ „მოაქამომდე“ გასული წლების გადაანგარიშებისას იგი იყენებს ქართულ ეროვნულ წელთაღრიცხვას, რომელიც ქვეყნის გაჩენიდან ითვლის 5604 წელიწადს⁵ და ამნაირად, მისი აზრით,

$$(5500 + 34 + 974) - 5604 = 904 \text{ წ.}$$

კ. კეკელიძის დათარიღებას არ ეთანხმება რ. შმერლინგი, რომელიც ხელნაწერის სამკაულებსა და პალეოგრაფიის ანალიზის შემდეგ ასკვნის, რომ ხელნაწერი თავისი მხატვრული გაფორმების მიხედვით ეკუთვნის X ს.-ის ბოლო მეოთხედს და შესაძლოა, X ს.-ის ზღვარსაც გამოსცდესო. ამიტომ მას შესაძლებლად მიაჩნია სიტყვები „ჯუარ-ცუმიდან ვე მოაქამომდე შოლ“, პირდაპირ გავიგოთ ყოველგვარი კორექტივის გარეშე, როგორც 1008 წელი⁶.

ზემორე თქმულს უნდა დავსძინოთ შემდეგი: ის შრომა, რომელიც ცნობებს შეიცავს A ხელნაწერის დათარიღების შესახებ, პარალელებს პოულობს ძველ ქართულ მწერლობაში. ასეთივე სათაურით ცნობილია თხზულება, რომლის ავტორადაც კ. კეკელიძე X ს.-ის მოღვაწეს იოანე-ზოსიმეს მიიჩნევს⁷. ამ ნაწარმოების ნუსხათა⁸ შესწავლამ გაარკვია, რომ იოანე-ზოსიმეს დრომდე ქართულ

¹ ქრონიკები, I, გვ. 93.

² Описание, გვ. 31.

³ ქართული მწერლობა, გვ. 163—164: ... წელნი ჰქვალდ (ასეა!); შემდგომად ჯუარ-ცუმისა ვიდრე მოაქამომდე შოლ (= 974).

⁴ კ. კეკელიძე, მცხეთის დავითის თარიღისათვის: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, გვ. 339—341.

⁵ კ. კეკელიძე, წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში, ეტიუდები, II, გვ. 328—335.

⁶ P. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги в VII—XI в. (შრომა ხელთ საწერ მანქანაზე დაბეჭდილი). 1950, გვ. 431.

⁷ კ. კეკელიძე, ქ. ლიტერატურის ისტ. I, 1960, გვ. 168.

⁸ სინის მთის ხელნ. № 34. 196 v—203 v; № 38 132 r—141 r; 6. G. Garitte, Le calendrier palestino-géorgien, 1958, გვ. 18—19; მისივე, Catalogue des Ms. géorgiens littéraires du M. Sinaï, 1956, გვ. 145; ლენინგრადის საჯარო ბიბ-კის ხელნაწერი (ამჟამად მისი ფურცლები, რომლებიც სირიულ-ქართულ და ბერძნულ-ქართულ პალიმნესტებს წარმოადგენს, არაქართული მასალის მიხედვითაა დალაგებული და

ენაზე არსებული მოკლე რედაქცია (A ხელნაწერიც მას უნდა მისდევდეს), რომელიც გაუვრცია, შეუსწორებია და ქართული მასალით შეუვსია იოანე-ზომიმეს¹. ძველ რედაქციებში მხოლოდ ერთი სისტემით არის წლები ნაანგარიშევი, იოანე-ზომიმესაში კი—ორით: არაქართულით („ბერძნულით“ ან „იერუსალიმური“ და ქართულით. როგორც თვით ქ. კეკელიძე აღნიშნავს, ერთადერთი სათვალავი, რომელიც იოანე-ზომიმეს ამ თხზულებაში ქართულს ეთანხმება და გამოანგარიშებისას ერთნაირ წლებს გვაძლევს, არის ალექსანდრიული (ქ. კეკელიძის ტერმინოლოგიით—პანოდორესი)². ეს კი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ძველ რედაქციებში, სადაც ერთი სისტემა გამოყენებული, სწორედ ალექსანდრიულთან უნდა გვკონდეს საქმე. თუ ასეა, მაშინ A ხელნაწერის გადაწერის თარიღი იქნება:

$$(5534 + 974) - 5492 = 1016 \text{ წ.}$$

A ხელნაწერის მინაწერებიდან პირველ რიგში საყურადღებოა XIII—XIV ს. ნუსხურით შესრულებული წარწერები, სადაც ტბელაძეების გვარია მოხსენებული: „სლსა ტბელას ძესა ანდრი[ა]ს შნს ლნ“. (ტაბ. 1.). „სლსა ტბელას ძესა გბრლს შნს ლნ (იქვე). ეს ორი პირი მამა-შვილია, რაც ჩანს A—193 ხელნაწერიდან: „სულსა ტბელას ძესა გბრლს შნს ლნ და მისთა (sic) მამასა ანდრიას (106 v). A-ში ეს გვარი კიდევ გვხვდება XV ს. ნუსხური ხელით შესრულებულ მინაწერებში: „სულსა ტბელას ძესა მანოელს შს ლნ“ (261 v); „სულსა ტბელაძესა (sic) ლაზარეს შნს ლნ.“ (იქვე). „სულსა ბაიასა და მისსა მეუღლესა შს ლნ (იქვე, იმავე ხელით, რაც გვაფიქრებინებს, რომ ბაიაც ტბელაძეების გვარს ეკუთვნოდა). 1 v-ზე მოთავსებულია XIII—XIV საუკ. მხედრულით შესრულებული წარწერა: „ღთო და ყოვლად წმიდაო ღთისა მშობელო, ნაევროზ (?) ლასურაძესა მისნი ცოდვანი შეუნდვენ და ვინცა ბძანოთ შენდობა, თქვენცა შეგინდვენს ღმერთმან თქვენნი ცოდვანი“.

ამიტომ ტექსტი გაბნეულია). ეს უკანასკნელი გამოცემულია (M. Brosset, *Etudes de Chronologie technique I. Mémoires de l'Académie Impériale des Sciences de St. Pétersbourg*, VII série, XI, № 13. 1868. გვ. 1—20. ბროსეს გამოცემაში მოიპოვება მთელი რიგი შეცდომები, ტექსტობრივი და სხვა ხასიათისა.

¹ სინურ ხელნაწერთაგან მხოლოდ S—38 კვთუნის იოანე-ზომიმეს. S—34 სხვა პირის გადაწერილია და ძველ რედაქციას წარმოგვიდგენს. ძალიან საინტერესოა ამ მხრივ ლენინგრადის ხელნაწერი: ისიც ძველი რედაქციისა ყოფილა; იოანე-ზომიმეს საკუთარი ხელით შეუსწორებია იგი და შეუტანია მასში სხვადასხვა მასალა. ჩვენთვის საინტერესოა ადგილას ყოფილა: „ჯუარტუმამდე უფლისა ჩუენისა იჳ ქესა წელნი ჰვლდ“ (როგორც A-ში). იოანეს აქ ჩაუმატებია თავისი ხელით: „იერუსალიმულად, ხოლო შემდეგ კიდევ მიუწერია ქართული ანგარიში. S—38 ლენინგრადის ხელნაწერის პირია: ყველა შესწორება, დამატება, რომელიც იოანეს ლენინგრადის ხელნაწერში შეუტანია, S—38-ში ძირითად ტექსტშია მოხვედრილი.

² ქ. კეკელიძე, ადიშის ოთხთავის თარიღისათვის, ეტიუდები, II. გვ. 336—337. ტერმინების ისტორიისათვის ნახე V. Gramol, *La Chronologie (Traité d'Etudes Byzantines)*, Paris, 1958, pp. 91—92.

როგორც ტბელაძეები, ისე ლასურიძეები სამხრეთ საქართველოს მკვიდრნი ყოფილან. ხელნ. A — 193-ში ტბელაძეებთან ერთად მინაწერებში მრავალი ისეთი პირია დასახელებული, რომელთა სადასურობა კარგადაა ცნობილი: ჯაყელი, ათაბაგი, ფანასკერტელი და სხვ.¹ ლასურიძეებიც სამხრეთ საქართველოში ცხოვრობდნენ: საფარაში, წმ. საბას ტაძარში მათ საკუთარი ეპიტერი ჰქონიათ². ლასურიძეები მოხსენებული არიან ხელნ. A—97-ში (175 v—176 r) აგრეთვე ისეთ პირებთან, რომლებიც სამხრეთ საქართველოს მკვიდრნი იყვნენ³.

ზემოთ ნახსენები მინაწერები მოწმობს, რომ A ხელნაწერი XIII—XIV საუკუნის განმავლობაში სამხრეთ საქართველოში ყოფილა. ეს ფაქტი კარგად ეგუება ვარაუდს, რომ ხელნაწერი სამხრეთ საქართველოშია შესრულებული⁴.

XV ს. ლამაზი მხედრულით: „სულსა ხუციისძისა იორდანესა შნს ლნ 252 v. ამავე დროისაა ნუსხური მინაწერი. „სულსა წუთარაშვილისა იოვანეს და მისსა მეუღლესა შნ ლნ“ (101 v).

1 r-ზე კათალიკოს ბესარიონის (†1735 წ.) ხეგული ხელთვა არის. 3 r, 13 r, 24 r და სხვაგანაც სწერია: „ეკუთენის დიდს მცხეთის სობოროს ჩუენ-ს წელსა“. ხელნაწერი საეკლესიო მუზეუმში მცხეთიდანაა შემოსული. ამიტომაც მას „მცხეთის დავითნი“ შეჰქმევიან.

A ხელნაწერი, როგორც ჩანს, ძალიან დახელოვნებული გადამწერის შესრულებულია. კალმის შეცდომები მასში თითქმის არ არის. ორთოგრაფიაც საკმაოდ მტკიცეა. სიკრულე, რომელიც ასე დამახასიათებელია ზოგი სინური ხელნაწერისათვის (BCF), A-ში მინიმუმამდეა დაყვანილი. ქვემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში ნორმიდან გადახვევის შემთხვევები თითქმის სრულადაა ჩამოთვლილი:

შ-ს ხმარება იშვიათია, მეტი წილი ე ხმოვანფუძიანი სახელებისა სათანადო ბრუნვებში ისევ ე-ს გვაჩვენებს; აქა-იქ მაინც არის შ: მეფშ 134, 11; სიბრძნშ 89, 12; ზოგჯერ შ უდრის ე-ს: ვიკალოდით... მარადლშ (წრფ. ბრ.) 43, 9; დლშთა 43, 2; მეხუთშდ გვ. 23 r; იღუმიამლშ 107, 11 მოსშ 98, 6; ეგვბტშ 134, 9; განვილძშ 138, 18; დაჰბადნშ 103, 30; ამალდლშ 88, 17; გვხვდება შ „შენება“ და „უენება“ ზმნებშიც: აშნა 126, 1, აღმოაცნის 146, 8. სულ თითო-ორიოლა შემთხვევაა ეშ ჯგუფის ხმარებისა: მანასეშ 107, 9, მზეშ 135, 8.

ა ზოგჯერ ი-ს მაგიერ არის ნახმარი: დაჰწერნეს გვ. 21 v, სადღუმლოგ-სათეს გვ. 20 r, დაჰქუდროს გვ. 19 v, ძეყენ 18, 15, ახილა გვ. 225 v, ახარებ-

¹ Ф. Жордания, Описание, I, 217—218.

² ვახტ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, 1956, გვ. 56—57.

³ ცნობა მოგვაწოდა ჭ. შარაშიძემ.

⁴ P. Шворинг, ნახს. თხზ. გვ. 431.

⁵ მ. ქავთარია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა: ხელნაწერთა ინსტ. შიამბე, I (1959) გვ. 78.

დით გვ. 228 v. ზოგჯერ α ი-ს მაგიერ სწერია ი-ზე დაწყებულ უცხო წარმოშობის სახელებში: ძუდა 59, 9; 107, 9; ძღუმჰად 59, 10; ძღუმამდე 107, 10. იშვიათად $\alpha\epsilon=\alpha$; მაგ., არაჲ 88, 23 (=არა).

ჯ და უ-ს ხმარებაში სხვაობა შეინიშნება: ზოგჯერ ჯ უდრის უ-ს: თირკვ-მელნი 72, 21; აქვს გვ. 250 r. უფრო ხშირია ჯ-ს მაგიერ უ: მშულდსა 7, 13; მშულთა 24, 9; ძურნი 7, 10; ცხურ 113, 14; შუდ 11, 7; საკურველ 16, 7; იხმარება უი ჯგუფიც: მშუილდსა 10, 2; დაამკუიდროს 7, 6; უწუიმა 77, 27. თითო-ორილა შემთხვევაა უ-სა და ო-ს აღრევისა: საფსალმონითა 143, 9.

ხელნაწერში ხშირია ორი ერთნაირი ასოს ნაცვლად ერთის ხმარება: ვითხო (ვითხოო) 72, 25; დაფუძნა (დააფუძნა) 47, 9; დამტკიცნა (დაამტკიცნა) 39, 3, დაგლო (დააგლო) 70, 10; დამტკიცე (დაამტკიცე) 118, 38. ხშირია ასეთი შემთხვევები იქ, სადაც მოსალოდნელია მმ, სს, თთ, 55: მწყსოს მე 22, 1. მსახურებდა მე 100, 6. თაყუანი-სცემდით 96, 7; სიმდიდრესა მისა 36, 3; საწმისა ზედა 71, 6. განსაკუთრებით ბევრია ასეთ შემთხვევაში, როცა ორი წერი უნდა გვექნდეს: მოქლონა რკინისანი 106, 16; ილრქინის კბილნი 36, 12; იქსნეს ივინი 33, 8; სამაგეგროდ. ზოგჯერ ორი ნ სწერია იქ, სადაც ერთია მოსალოდნელი: გარდააქცინნის 134, 7; განვებინნე გალ. 2, 26; შესთხინნეს გალ. 7, 21. გამჰადინნენ 103, 10 და სხვ.

9. რადიკალური ხელნაწერები

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი B

ესაა სინური ხელნაწერი № 42. აღწერილია ა. ცაგარლის (№ 3), ნ. მარისა და ე. გარითის მიერ¹. ნაწერია ეტრატზე, წვრილი თავისებური ხელით (ტაბ. 6). ა. ცაგარელი აღნიშნავს, რომ დაქვლეტილი ასოები (сглавленное письмо) ხელნაწერის სიძველის ნიშანია და რომ მისი გადაწერილი მიქელი X ს-ის მოღვაწეა. ნ. მარიც საგანგებოდ მიუთითებს ორთოგრაფიის არქაულობაზე. ე. გარითიც მას X ს.-ით ათარიღებს.

შედგენილობა: ფსალმუნი (2r—235 v), გალობანი (236 r—256 v). ფსალმუნის ტექსტს აკლია 76, 15—83, 4.

ხელნაწერის თავისებურებათა შორის ყურადღებას იქცევს პირველ რიგში ძალზე ხშირი დაწერილობა ეშ და ეჲ ჯგუფებისა: სიძემ 18, 6; მეუფემ 20, 2; დღეჲ 31, 4. იხმარება უი ჯგუფი ჯ-სათვის: სიტყუათათუის 21, 2; ხუიდოდე 31, 8. გუირგუინი 20, 4. ზოგჯერ ჯ=უ: მღუმესა 29, 4. არც თუ ისე ცოტაა ო-სი და უ-ს დაწერილობის აღრევა: ამაუებასა 23, 4. მუმვისენე 24, 7. საოლისთა 17 სათ.; ჰონებითა (=ჰუნებითა) 19, 8. ხელნაწერში ხშირად სრულადაა დაწერილი სიტყვები „უკუნისამდე“ (36, 18; 36, 28; 36, 29; 88, 29; 104, 23; 113, 17) და „ისრაელი“ (13, 7; 21, 4; 21, 24 და სხვ.).

¹ А. Цагарели, Сведения, II, 55; Н. Марр. Описание груз. рукописей Синайского монастыря, 1940, гв. 31; G. Garitte, Catalogue, гв. 156—158.

შესამჩნევია ტენდენცია უმარცვლო უ-ს დაკარგვისა: თირკმელთა 7,10; მზაკვართა 54,24; განკრიტნეს 21,17; ზაკვიდა 35,3; ნაძნი 28,5. მსგავსი მაგალითები ბევრია. გადამწერი შესაძლოა 8-ს ცხვირში გამოთქვამდა, რადგან ხშირია ფორმა: ანპარტავანება (30,19; 30,24 და სხვაგან). ხშირად გვხვდება რ და ლ-ს მეტათეზისი: განმაძრიელებელ 17,19; ძრიელებაა 70,21; მოუძრულდეს 108,24; წყულირსა 68,22 და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰემეტობის გადმონაშთები: ჰთქუ 88,3; ჰძინან 40,9; შეჰძინეს 68,27; შეგჰძინო 70,14; შეჰძინოს 76,8; ჰჯობს 83,11; ჰჰამო 126,2; ჰჰამო 127,2; გამოჰჩნდელ 75,9¹.

B ხელნაწერი იმავე დედნიდან უნდა იყოს გადმოწერილი, საიდანაც D, რადგან ეს ორი ხელნაწერი ერთმანეთთან ძალიან ახლო დგას; რედაქციული სხვაობები მათ ჩვეულებრივ საერთო აქვთ. გარდა ამისა, ზოგი მცდარი წაკითხვაც ორივეში ერთნაირია: გამოჭურვებული მიწით] მის წილ 11,7; განჯმა... ძალი (თჯც)] ძუალი 21,16. შეჰძინეს (68,27) გვხვდება D-შიც. შეიძლება კიდევ დავასახელოთ თითქმის ერთნაირად დამახინჯებული სათაური 51 ფსალმუნისა B-სა და D-ში: მოვიდოდა ოდეს იდუმელით ხობად (ხობად—D)= მოვიდოდა ღოეკ იდუმელი თხრობად.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი C

იმყოფება სინას მთაზე. აწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№ 4), ი. ჯავახიშვილს და გ. გართოს (№ 29)². ნაწერია ეტრატზე წერილი ასომთავრულით, (ტაბ. 7), რომელიც ფოტოპირზე ხშირად ძნელი გასარჩევია. ხელნაწერი დაზიანებულია: ა. ცაგარელი წერს, ფსალმუნი სრულიაო, ნამდვილად კი მას აკლია ფს. 135,5—გალ. 6,2. გადამწერს ხელნაწერში არც ფსალმუნის რიცხვები აღუნიშნავს, თითო-ოროლა შემთხვევის გარდა,—ფსალმუნების რიცხვები კიდევზა მიწერილი სხვა, უფრო გვიანდელი ხელით. სათვალავი გრძელდება მერმეც, გალობებთან. კანონებს, სათვალავის გარდა, ზოგჯერ სახელიც აქვს; კანონი აგიაროა (¶), შეგესემინი (¶), ნეტარ[არ]იანნი (¶). გადაწერის თარიღი არა აქვს, ხელის მიხედვით X საუკუნისაა.

შედგენილობა: 1. ფსალმუნი 2r—73v (ფს. 1—135,4). 2. გალობანი 74r—77v (6,3-დან).

ხელნაწერში ყურადღებას იქცევს ჯ-ს ხმარება უ-სათვის: სტუმარ 68,9, ყური (=ყური) 85,1; პური 101,5; საჯნჯითა 103,13. მსგავსი მაგალითები აუარებელია.

¹ მ. შანიძე, ჰემეტობის გადმონაშთები X ს.-ის ერთ ხელნაწერში: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 145—147.

² А. Цагарели, Сведения, гл. 55; ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ-ხელნაწერთა აღწერილობა, 1947. გვ. 50; G. Garitte, Catalogue, გვ. 66—69.

ხელნაწერი D

დაკულია სინას მთაზე, აწერილია ა. ცაგარლის (№ 5), ივ. ჯავახიშვილისა და ე. გარიტის (№ 22) მიერ¹. ნაწერია ეტრატზე. ხელნაწერი თავბოლო-ნაკლულია, აკლია შიგნითაც. ფურცლები აკინძულია არეულად: ალბათ, ხელნაწერი აკინძა კაცმა, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა. ე. გარიტს მოყვანილი აქვს სპეციალური ცხრილიც, თუ რა თანმიმდევრობით უნდა იქნეს დალაგებული ფურცლები. ნაწერია მსხვილი, ძალზე ლამაზი და გარკვეული ნუსხურით (ტაბ. 8). ხელნაწერს თარიღი არა აქვს, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით X საუკუნისაა. შეიცავს ფსალმუნის ტექსტს, ნაკლულს: იწყება 6,2-ით, წყდება 147,8-ზე. შუაში აკლია 118,56—118,111; 123,4—131,3; 137,7—146,10. და 147,8-დან ფსალმუნის ბოლომდე². გალობებისა მხოლოდ ერთი ნაწყვეტი-ლა ახლავს: 1.15—19.

სინური ხელნაწერებიდან D ყველაზე უფრო იცავს კლასიკური ქართულის ნორმებს. მასში თითქმის აღგილი არა აქვს ორთოგრაფიულ სიჭრელეს.

ხელნაწერი E

აწერა ა. ცაგარელმა (№ 2)³, რომელმაც იგი VIII—IX საუკუნეებით დაათარილა. ეს ის ხელნაწერია, რომელიც XIX ს. დასასრულს სინას მთიდან ავსტრიაში მოხვდა და ჰ. შუხარტის კუთვნილება ვახდა⁴. ამჟამად იგი გრაციის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია დაკული.

ხელნაწერი ნაწერია ეტრატზე. ა. ცაგარლის მიხედვით, მასში ყოფილა 302 ფ.; მიკროფილმის მიხედვით, ამჟამად არის მხოლოდ 275. ტექსტი წარმოადგენს პალიმფსესტს. ცაგარელი არ აღნიშნავს, თუ რა ენაზეა ნაწერი პირვანდელი ტექსტი, მხოლოდ წერს, ქართული არ არისო. პირვანდელი ნაწერი სომხურია, შესრულებულია ე. წ. ერკათაგირით. ქართული ნაწილი ნაწერია მსხვილი დატყლაპული ასომთავრულით (ტაბ. 9). სინგურით გამოყვანილია ფსალმუნების სათაურები და მათი რიცხვი. მუხლთა რაოდენობა აღნიშნული არაა. თავში ძირითად ტექსტს ჰკლებია და ნაკლული ადგილები შევსებულია XI ს.-ის ნუსხურით (ეს ნაწილი გამოცემაში აღნიშნულია Ea-თი). ძირითადი ტექსტი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით

¹ А. Цагарели, Сведения, II, гл. 56; ივ. ჯავახიშვილი, სინა, გვ. 44. G. Garitte. Catalogue, გვ. 58—59.

² გარდა ამისა, ჩვენს მიკროფილმზე გამორჩენილია 192r—193r, ე. ი. ფს. 89,2—89,9.

³ А. Цагарели. Сведения, II, гл. 54. ეს ხელნაწერი აღწერილი უნდა იყოს კიდევ წიგნში: A. Kern. Die Handschriften der Universitätsbibliothek Graz, II. Wien. 1956. იგი ჩვენ ხელთ არა გვექონია.

⁴ ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცში, ტფ. უნივ. მოამბე, IX (1929), გვ. 343—44. ხანმეტი ლექციონარი, 1944, გვ. 07—08; H. Schuchardt, Mittheilungen aus georgischen Handschriften, ტფ. უნ. მოამბე, VIII (1928), გვ. 366—358.

X საუკუნისა უნდა იყოს და არა VIII—IX ს-სა, ამასვე ადასტურებს ლინგვისტური მონაცემებიც.

შედგენილობა: 1. ფსალმუნი (1v—259v) 2. გალობანი (260r—275v). გალობათა ტექსტი წყდება გალ. 5,17-ზე. როგორც ჩანს, ცაგარელს ვერ შეუმჩნევია გადამწერის ანდერძი, რომელიც 259v—260r-ზეა მოთავსებული:

„[დიდება] შენდა, ქრისტე, რომელმან ღირს მყავ [მე, უ] ღირსი ესე, მსგავსი მონაზონისა სერაპიონ, წმიდათა ფსალმუნთა დაწერად საქსენებელად სულისა ჩემისა და ძმისა ჩემისა [პეტრესა, რაჟთა აცხოვნოს სული ჩუენი ღმერთმან და გვქსნეს ცეცხლისაგან. ღმერთმან დაგაჯეროს, ვინცა იწურთიდეთ წმიდასა ამას დავითს, ჩუენცა მოგვქსენენ [ლოც]ვასა წმიდასა თქუენსა. უფალო, მოივსენე [...].“

ფსალმუნებს ხშირად აქვს ვრცელი სათაურები რომლებიც სხვა ხელნაწერებში არ ჩანს. E-ში ბევრია შეცდომები, ლაფსუსები, ცოცხალი მეტყველების ამსახველი ფორმები. ძალიან ხშირია ასოებისა და მარცვლების დაკლება-გამოტოვება.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი F

იგი ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (H—1798). წარმოადგენს ფსალმუნის ნაწყვეტს. ხელნაწერი პატარა ზომისაა, დაახლოებით 14×10; ფურცლები შემომწვარია და უსწორმასწორო; უყდოა, სულ არის 25 ფურცელი.

იგი საკმაოდ დაზიანებულია, ალაგ-ალაგ გადაღეული და ძნელად წასაკითხავი. ნაწერია ლამაზი გამართული ნუსხურით (ტაბ. 10). სათაურები სინგურითაა გამოყვანილი. ფსალმუნებს მუხლთა სათვალავი არა აქვს, მაგრამ ყოველი ფსალმუნის ბოლოს აღნიშნულია მასში შემავალი მუხლების რაოდენობა, რომელიც A-სას უდრის ჩვეულებრივ, ამ მხრივ F განსხვავდება სინური ხელნაწერებისაგან, სადაც ფსალმუნის მუხლთა რაოდენობა (გარდა B-სი აქა-იქ) ნაჩვენებია არაა. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ხელნაწერი X—XI საუკუნისაა. აღწერილობაში ნათქვამია, რომ ტექსტი ათონამდელია და მისდევს A—38-ს¹.

ხელნაწერი შეიცავს შემდეგ ფსალმუნებს: 74,6—77,5; 77,38—78,10; 79,14—82,14; 83,10—85,11; 87,13—90,16; 92,1—93,9; 94,1—99,8; 100,6—101,11; 103,7—104,1. ხელნაწერის ორთოგრაფია საკმაოდ ქრელია; ხშირად გვხვდება ეშ ჯგუფი: იხილემ 83,10; მოწყალემ 77,38; მწყემ 83,10; ბუდემ 103,17. არეულია წ-სა და ჟ-ს ხმარება: ოდაბნოდ (უდაბნოდ) 77,52; სოფევს (სუფევს) 95,10; გოშინდელი (გუშინდელი 89,4. ისმინუ (ისმინო) 80,9; შჯუბს (შჯობს) 83,11; უბუღსა (ობოღსა) 81,3. იშვიათია თემდიდური მოვლენები; ე. ი. ორი ერთნაირი ასოს მაგწერ ერთის ხმარება.

¹ საქ. მუხუუმის ხელნაწ. აღწერილობა, H IV, გვ. 221—222.

ჟ რედაქციის ხელნაწერები

ხელნაწერები, რომლებიც შეიცავენ ფსალმუნის გიორგი მთაწმიდლი-სეულ რედაქციას, ათეულობით მოიპოვება. სამწუხაროდ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, XIII საუკუნეზე აღრინდელი მათ შორის არ ჩანს. ამიტომ გამოცემისათვის შევარჩიეთ სამი ხელნაწერი, რომლებიც ნაკლებად შერყვნილია გვიანდელი ენობრივი ფორმებით.

ხელნაწერი G

ეს ხელნაწერი, როგორც საუკეთესო შერჩეულთა შორის, საფუძვლად დავედევით ჟ რედაქციის გამოცემას. ხელნაწერი დაკულია იერუსალიმში, ამჟამად საპატრიარქო ბიბლიოთეკის წიგნთსაცავში. აღწერილია რ. ბლეიკის მიერ (№ 161)¹.

შეიცავს 230 ფურცელს, ნაწერია ეტრატზე. ზომა—20,2×17,3. ნაწერია მსხვილი, გარკვეული, ძალიან სწორი და ლამაზი ნუსხურით (ტაბ. 11). სათაურები სინგურითაა. ტექსტი სულ ერთი ხელითაა ნაწერი, ორიოდ გვიანდელი ჩანართის გარდა (ფ. 1, ფს. 1—2,2; ფ. 18, ფს. 22,4—23,7). აქა-იქ ტექსტი გაცხოველებულია, მაგრამ კარგად და შეუცდომლად: როგორც ჩანს, პირვანდელი ნაწერი ჯერ კიდევ მკაფიოდ იკითხებოდა. შეიცავს ფსალმუნისა (ფ. 1—195v) და გალობათა (196r—229r) სრულ ტექსტს.

რ. ბლეიკი ხელნაწერს ასე ათარილებს: XIII—XVI სს., ჩართულ ფურცლებს იგი XVII საუკუნისად მიიჩნევს.

ანდერძი: „ქე ღმერთო, მფლობელო ყოველთა არსთაო, აღიდე ორთავე შინა სუფევათა დიდი ქართლისა ქკზი მიქლ“ (ტაბ. 11).

ხელნაწერის ანდერძში მოხსენებული მიქაელ (ან: მიქელ) კათალიკოსის სახელი საშუალებას გვაძლევს უფრო ზუსტად დავათარილოთ G ხელნაწერი. ხელის მიხედვით იგი XIII საუკუნისა უნდა იყოს. XIII ს. ორმოციან წლებში კი კათალიკოსად არის მიქელი, რომლის გაცემული საბუთი 1241 წლით თარიღდება². მიქელის კათალიკოსობის ქვედა და ზედა ზღვარი მთლად გარკვეული არ არის, მაგრამ ცხადია, რომ იგი კათალიკოსად სულ რამდენიმე წელს უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, G ხელნაწერი გადაწერილია 1240—1241 წლების მახლობელ დროს.

G-ს აქვს რამდენიმე მინაწერი: 1r-ზე ნუსხურით სწერია: „[ამის წიგ]-ნისა მკაზმავსა ცოდვილსა ნაო მს შნს ღნ და ვინცა თქუას, მასცა შნს ღნ“.

¹ R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque patriarchale grecque à Jérusalem. Paris 1924, გვ. 155. აღწერილობა მოკლეა, სულ ათიოდ სტრიქონია და ნათქვამია, რომ პირველი მთლიანი ომის დაწყებამდე ხელნაწერი ეკუთვნოდა ვმ. აბრამის მონასტერს და საპატრიარქო წიგნთსაცავში მხოლოდ 1914 წ. შემოსულაო.

² ნ. შოშიაშვილი, XIII საუკუნის საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის: საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVIII-B, თბილისი, 1954, გვ. 119—120. ეს საბუთი თ. უორდანიამ შეცდომით 1310—1318 წლებით დაათარილა (ქრონიკები, II, გვ. 176).

ქვემოთ XV—XVI ს. ნუსხურით სამი მინაწერია: „ქ. ვინცა ესე დავითი თეკლს(ა) წას(ა) გამოაჯოს(ა) იშლსა, გამო-მცა-იჭუების სული მისი ღის-გან(ა) ან. „ცღვილს ზბლონს შს(ა) ღნ ან“ „ქ. აცხოვეწე სლი ბრბრესი. ან, ორ...“

ამავე გვერდზე შუაში არის მხედრული მინაწერი: „ღო, შეიწყალე ცოდვილი ჩოლაყას შვილი ბეენ და მშობელნი მისნი, წო თეკლა. ან, ან, ან“.

230r-ზე ფურცლის ქვედა კიდეზე მხედრულად: „ჯვარო ცხოველს-მყოფელო, შე ფღ ცოდვილი ნიკოლოზ ჯვარ[ის მამა]“.

ეს მინაწერები გარკვეულ შუქს ჰყენენ ხელნაწერის შემდგომ ისტორიას. როგორც ჩანს, ხელნაწერი მოხვედრილა იერუსალიმში, თეკლას მონასტერში, რომელიც აშენებულია არა უადრეს XV ს-ის I ნახევრისა ქრისტეფორე ზედგიხის მიერ¹. წიგნის შემკავმელი ნაომ (ნაუმ), შესაძლოა, არის ბეენ ა ჩოლაყას შვილი „კინინი მონაზონი“, რომელსაც, როგორც ჩანს, ბეენასთან ერთად მრავალი ხელნაწერი აღუდგენია. ეს ჩანს ჩვენი გამოცემის H ხელნაწერის ერთი მინაწერიდან (ნახე ქვემოთ). ის ფაქტი, რომ ნაომის მინაწერის გვერდით არის მეორეც, ბეენას ხელით შესრულებული, უფრო აძლიერებს ამ ვარაუდს. თუ ნაომი მართლაც ბეენას მონაზონია, მაშინ საფიქრებელია, ხელნაწერი თეკლას მონასტერშია შეკაზმული. თეკლას მონასტრიდან, შესაძლოა, ხელნაწერი ჯვარის მონასტერში მოხვდა. ამას გვაფიქრებინებს მხედრული მინაწერი 230r-ზე, სადაც იხსენება ნიკოლოზი. ნიკოლოზი ანუ ნიკიფორე ჩოლაყაშვილი ჯვარის მამად ყოფილა XVIII ს. პირველ ნახევარში². მინაწერში, რომელიც ლამაზი მხედრულითაა შესრულებული, სახელის შემდეგ აშკარად ჩანს „ჯვარ...“. ჯვარიდან, ალბათ, ხელნაწერი აბრანის მონასტერში გადასცეს მისი განახლების შემდეგ³.

ეს ხელნაწერი ძალზე დახელოვნებული კალიგრაფის შესრულებულია, თანაც საუცხოო დედნის პირი უნდა იყოს. ხელნაწერში თითქმის არ მოიპოვება კალმის შეცდომები, ან შემთხვევითი მცდარი დაწერილობები. მართლწერა ბევრად უფრო ერთიანია და თანმიმდევრული, ვიდრე ორედაქციის ზოგი ხელნაწერისა. უფრო კომპლექსი ყველგან უმ-თია გადმოცემული. გარდა ამისა და რანდენიმე, სულ თითებზე ჩამოსათვლელის, გარდამავალი და ახალი ფორმისა, ხელნაწერი თითქმის უკლებლივ იცავს ძველი ქართულის ორთოგრაფიულ და ენობრივ ნორმებს.

ეს ხელნაწერში მოიპოვება რედაქტორის ხელით ნასწორები ფორმები. გასწორებანი ორთოგრაფიული ხასიათისაა, სიტყვის ზემოდან ჩამატებულია ესა თუ ის ასო⁴:

¹ ეს ცნობა ამოღებულია ე. მეტრეველის ხელნაწერი ნაშრომიდან: „ჯვარის მონასტრის ალაპები“. ნ. აგროთე ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, 1956, გვ. 81.

² ქ. ქეკელიძე, ნიკიფორე ირანის; ეტიუდები II, გვ. 304—305.

³ ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, გვ. 81.

⁴ ჩამატებული ასო აქ ფრჩხილებშია ჩასმული.

- ა აღსა(ა)რებისათა 41,5;
 ლ აღ(ლ)პურობად 21, 20; აღ(ლ)ფრინდა (2) 17,11.
 ლ: მიწა(ღ)მდე 43,26; ღრუბელთა(ღ)მდე 56,11; იღუმია(ღ)მდე 59,11;
 თესლა(ღ)მდე 99,5.
 ჰ: მიჰხედნეს 27,5; მო(ჰ)ხედე 79,15; შეურაცხ-(ჰ)ყვენ 118,118.
 ნ: იქმნ(ნ)ეს 54,22.
 მზ მოაქა(მო)მდე 70,17.
 ვ დავალტ(ვ)ო 6,7; აშურ(ვ)ებდეს 77,58; მაშურ(ვ)ეს 2,21 (გალ.); შუ-
 (ვ)ანი 57,7; ვეცრუ(ვ)ო 88,34; 88,36; ეცრუ(ვ)ოს 14,4; ტყუ(ვ)ინ 32,17;
 ტყუ(ვ)ილისასა 39,5; შეტყუ(ვ)ილი 40,10.
 როგორც ჩანს, რედაქტორი ვერ ითმენს აზ და ოე ჯგუფებს და მათ
 ავო-ღ და ოვე-ღ აქცევს. ამ შემთხვევაში ის ზოგჯერ აღადგენს ფუძისეულ ვინს:
 გასწა(ვ)ო 33,12; ეპო(ვ)ე 114,3; ეპო(ვ)ეთ 131,6; მპო(ვ)ეს 114,3; ეპო(ვ)ო
 131,5; ეპო(ვ)ებინ, 108,12, ან კიდევ ჩაურთავს ვინს ო-ზე გათავებულ ფუძითაგან
 ნაწარმოებ ფორმებში, რაც განსაკუთრებით ხშირად ამაო და უსჯულო სა-
 ხელთაგან ნაწარმოებ ფორმებში გვხვდება: ამა(ვ)ო 5,10; ამა(ვ)ოსა 11,3;
 40; 7; ამა(ვ)ოდ 3,8; ამა(ვ)ოთა გალ. 6,7; ამა(ვ)ობით 61,10 და სხვ.; ეს
 „ამაგობით“ გამოწაკლისია, ჩვეულებრივ იკითხება ამაგებაჲ 30,7; 118,37;
 ამაო(ვ)ებასა 37,13; 39,5; 143,4; 143,8. ამაო(ვ)ებით 77,33; ამაო(ვ)ებითა
 51,9; 138,20; ამაო(ვ)ებისასა 25,4. უსჯულო: უსჯულო(ვ)ებთ 74,5; უსჯუ-
 ლო(ვ)ებენ 24,2; უსჯულო(ვ)ებდეს 118,51; 118,78; უსჯულო(ვ)ება 35,4;
 უსჯულო(ვ)ებაჲ 7,4; 31,5 და სხვაგან (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით).
 სიწრფო(ვ)ებაჲ 16,2; სიწრფო(ვ)ებანი 10,7.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი H

დაცულია იერუსალიმში, საპატრიარქო წიგნთსაცავში, აღწერილია
 რ. ბლეიკის მიერ (№ 133)¹. ხელნაწერში 213 ფურცელია. ნაწერია ქა-
 ლალღზე მსხვილი, გარკვეული, მომრგვალებული ნუსხური; ძირითადი ტექს-
 ტი XIII—XIV საუკუნისაა. ნაკლები ადგილები შევსებულია გვიანდელი
 ხელით. შეიცავს ფსალმუნის ტექსტს და გალობებს.

გვიანდელი ხელითაა შევსებული: თავიდან—2,3, 4,7—6,7; 7,10—9,17;
 16,4—16,11; 110,9—113,18; 115,1—115,8; 118,2—118,33. აკლია: 2,3—4,6;
 6,7—7,9; 16,2—16,13; 113,19—115 სათ². აკლია აგრეთვე (ფოტოპირზე)

¹ R. Blake, Catalogue, გვ. 139. რ. ბლეიკი შენიშნავს, რომ ეს ხელნაწერი აღბაზ
 არის ა. ცაგარლის მიერ აღწერილი № 4. ა. ცაგარლის აღწერილობა სულ ესაა: „Псалтырь
 in 4^o, дефективна, на боснийцине, строчного письма XIV—XVI вв.“ (Сведения. II, стр. 11).

² შესაბამისი გვერდები მიკროფილმზე გადაღებული არაა. შესაძლოა, ისინი შემოხე-
 ვით იყოს ვამორჩენილი, რადგან ბლეიკი წერს, ხელნაწერი სრულია.

ზაქარიას გალობის ბოლო, რომელიც ბლეიკს უნახავს, რესტავრატორის და ხელით ყოფილა შეესებული (გალ. 9,76-ბოლომდე).

მინაწერები: „ამა დავითის(ა) შემკზმავ(ა)სა¹ ჩოლაყას(ა) შვილსა ბენსა და მშობელთა მისთა შს ლ^ნ, მ[ა]თსა ძ(ა)მასა ზაალს(ა) შს ლ^ნ და ამისა მწერალსა ცოდვილსა სოფრონს შს ლ^ნ, ან. ქრ^ნკნს ზათას და კსა. შეიკაზმა ინდიკტიონს ბ (9რ). ეს მინაწერი იმავე ხელითაა შესრულებული, რომლითაც ტექსტის დაკლებული ადგილები, მაშასადამე, ხელნაწერი შეუვსია სოფრონს 1512/3 წელს. სოფრონის მინაწერს ქვევით ლამაზი მხედრული ხელით სწერია:

„ღმერთო და საფლაო ქრისტესო, შეე მეფე-მეფეთა გიორგი და ძე მათი პატრონი ლეონ, ესე წიგნი დავითნი მე ჩოლაყა შვილმა ბენამან, შევკაზმე, რათა შეიწყალოს ქრისტემან ღმერთმან და ჯუარმან მისმან ცხოველმან მეფე-მეფეთა გიორგი და ძე მათი ლეონ“ (9რ). ეს მინაწერი ბენა ჩოლაყა შვილს უნდა ეკუთვნოდეს.

„სულსა ამა წიგნისა და სხვათაცა მ(ა)რავლისა წიგნებისა ნკაზმავსა ჩოლაყა შვილსა ბენს(ა) და ჩემთა ორთა მონაზონთა კნინთა, ნაოპს და სოფრონს(ა), შეგვინდევ(ა), მამაო ზეცათაო. მას ეამსა, ოდეს დიდი საღმობა იყო აქა იშ^ლსმს(!), ჩუენ შიშისაგან სიკუდილისა შეურ(ა)ვებულთა, ერცა (!) ყურესა ამა პატიოსნის ჯვარისა მონასტრისასა ვიყვენით(ა), ვშვერით(ა), ქრ^ნკნი იყო სა. ექვსა თვესა ვიყვენით ფარულ და...“ (169v). ეს მინაწერი სოფრონის ხელითაა შესრულებული.

სოფრონი მაინცდამაინც დახელოვნებული კალიგრაფი ვერ ყოფილა. მის მიერ შეესებულ ადგილებშიც ბევრია შეცდომები, ხშირია ხანმეტი ფორმები.

ხელნაწერი L

ხელნაწერი ეკუთვნის ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს (ხელნაწერთა განყოფილება, B 1; ძველი ნომრები—G 116, B 4). ხელნაწერი აღწერილია რუსუდან ორბელის მიერ². ჩვენ ვსარგებლობდით ხელნაწერის ფოტოპირით. L შეიცავს 202 ფურცელს, ნაწერია ეტრატზე. პირველი ფურცლები და ზოგი სხვაც დაზიანებულია. დაწერილობა ნუსხურია.

შეიცავს: ფსალმუნის ტექსტს (1r—181r) და გალობებს (182r—201r). ფსალმუნში და გალობებში ფურცლის თავისუფალი ადგილები, ზოგჯერ კიდევბიც, შეესებულია წვრილი თავისებური ნაწერით. ეს ნაწერი წარმოადგენს ეფრემმცირის ფსალმუნთა თარგმანებას. როგორც ჩანს, L ორი პირის დაწერილია; გარდა ამისა, ცალკეული ფურცლები კიდევ სხვას გაუცხოველებია...

ხელნაწერს თარიღი არა აქვს; პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით იგი XIII—XIV ს-ით უნდა დავათარიღოთ. ა. ცაგარელი, რომელიც ამ ხელნაწერს ოარიოდე სიტყვით იხსენიებს, მას XI—XII საუკუნისად თვლიდა³. უე ჯგუფი ხელნაწერში ყველგან უშ^ტ-თია გადმოცემული; ხშირად სწერია „ფსალმონი“

¹ ზღმეტი ანები აქვ და შემდეგშიც ფრჩხილებში გვაქვს ჩანძული.

² რ. ორბელმა ლენინგრადიდან გამომოიხაზა ხელნაწერის აღწერილობა, მის მიერ დასაბეჭდად დამზადებული, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

³ А. Цагарели, Сведения, I, გვ. 59.

(სათაურები 24, 79, 97, 139 და სხვ.). სიტყვა „აღა“ გახსნილი სახით გვიანდელ გამოთქმას გვიჩვენებს: ალილია (სათ. 112, 114).

ხელნაწერს ერთევის გიორგი მთაწმიდლის ცნობილი ანდერძი¹. „ანდერძი გიორგი მთაწმიდლისაჲ, თარგმანისაჲ. წმიდანო და ღმერთ-წმინდისნო მამანო და ძმანო, რომელნიცა წმიდათა ამათა დავეითთა მიემთხვენეთ, ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ფრიადითა იძულებითა წმიდათა და სულიერთა მამათა ჩნთაჲთა ვთარგმნენ ესე დავეითნი ახლად ბერძულისაგან ქართულად მე, გლახაკმან გიორგი, უღირსმან ხუცეს-მონაზონმან, ფრიადითა ჰირითა და რუღუნებითა, თუთ იცის ღმერთმან, მრავალთა ბერძულთა დედათა და დავეითის თარგმანთაგან ფრიადითა გამოწულილვითა და განოძიებითა. აწ გვედრებნი ყოველთა, რომელნიცა მიემთხვენეთ წმიდათა ამათ დავეითთა, რაჲთა ჩნთჲს ლოცვაჲ-ჰყოთ. და ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრეთვე შეუცვლელად დასწერდით: ნუცა ჩაურთავთ, ნუცა დააკლებთ: ჩნ რომელი ჯერ-იყო, ჩაგურთავს და რომელი ჯერ-იყო, დაგაკლია, ვითა ჩუენსა ენასა მოჰვიდოდან და წესი საქმისაჲ ეძიებდა. ნუცა ღონ-[ან]სა დააკლებთ და ნუცა რამეთუ-სა, [და ესე ვსრ]ე ეგების გონიერისაგან გულისგმის-ყოფად, რომელ იგი ღონ-ანი ჩნცა ეიცოდით, და თუმცა რას ავენებდა, [გი]ნა იგი, გინა სხუაჲ რომელიცა სიტყუაჲ, არა დაუტეობდით, არცა აღმოგჰკოცდით. ხოლო უკუეთუ ვინმე ამას ჩუენსა შრომით და რუღუნებით ქმნლსა და ყოველითა ქეშმარიტებითა სავსესა ნაშრომსა და [აღწერ]ილსა არა ჯერ-იყოს, და კე იცოდის, ანუ ღარ, გინა ოტი, ანუ თუ ღმერთი და უფალი, გინა თუ რიტორიცა იყოს, ანუ ~~ფილასოფოსი~~, მაშა ჩნსა ნაშრომსა ზედა ნუ ბრძნობს, ახლად ვითა გინდა თარგმნეს სხუანი დავეითნი, არას ეზრუნავ. და თუ ქართულთა დავეითთა დაიწერდეს, ჯნი აქუს და კურთხევაჲ! რომელნან კულა ჩნი დავეითი ზეპირით იძალოს, გინა ესე მრავლითა სისხლითა თარგმნილი წინა დაიდვას და დავეითსა რუენად და ზე-ქუე² ქცევედ დაუწყოს, საშჯელი მოჰქადენ ღმერთმან დღესა მას საშინელისა საშჯელისასა! და ვინ ამა ჩნთა დავეითთა (დასწერდეს და ესე ჩემი დაწერილი არა დაწეროს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი! უკუეთუ მე გლახაკმან ესოდენი ჰირი ვნახე) და ესე უ(სასყიდლოჲ მარგალიტი არა დავეი)ცონე აღწერად განმანათლებელად მკითხველთა და მსმენელთა, მას ორთა სიტყუათა დაწერად რად ზარ-აც?! და წმიდასა მამასა ეფთჳნის ნუვინ იმოწმებს! წმიდამან მამა[მან] დავეითი თარგმნა და მწერალსა ვისნე მისცა დაწერად და მან განრუენა და უქმარ-ყო. მიერთგან სხუაჲ არლარა თარგმნა, არამედ ქართულნი დავეითნი თანა-ეხსნიან და სადაცა სიტყუაჲ ეგმარებოდის, მისგან იწამის. და ამათისა ქეშმარიტებისა მოწამედ და სიმართლისა მყავს ყოველი საბერძნეთი და ყოველი ბერძულნი დავეითრ. და ვის არა ჰრწმენეს, შეაწამენ“ (201v—202v).

ღ ხელნაწერის ანდერძის ტექსტი უძველესი ნუსხაჲ ამ წინიშენლოვანი დოკუმენტისა.

¹ ანდერძი რამდენჯერმეა გამოქვეყნებული: საქართველოს სამოთხე, გვ. 487—88; მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, გვ. 107—111; საქ. მუხ. ხელნაწ. აღწერილობა, II IV, 1950, გვ. 150—151. ² ზე-ქუე ლ.

III. ბაქსტის გამოცემისათვის

გამოცემაში **С** და **ჟ** რედაქციების ტექსტი გამოქვეყნებულია პარალელურად. ამათგან **С** რედაქციისა სრულია, **ჟ**-სათვის კი მოყვანილია მხოლოდ ის სხვაობები, რომლებსაც ამ რედაქციის ხელნაწერები გვიჩვენებენ **С**-სთან მიმართებით.

ა ხელნაწერისათვის სქოლიოებში მითითებულია ყველა სიტყვა ან ფორმა, რომლებიც კი ტექსტში შევასწორეთ ან შევცვალეთ (კალმის შეცდომები, მცდარი ფორმები და სხვ.). **ჟ** რედაქციიდან სქოლიოებში ჩამოტანილია ყველა განსხვავებული წაკითხვა, რომლებიც ფონეტიკური მოვლენების ამსახველია, კალმის შეცდომები კი იმდენად, რამდენადაც საჭიროა, რომ წარმოდგენა გვექონდეს ამა თუ იმ ხელნაწერის საერთო ვითარებაზე.

ჟ რედაქციის ტექსტი, როგორც ნათქვამია ზემოთ, ეყრდნობა **Г** ხელნაწერს, რომელშიც შეცდომები და გვიანდელი ფორმები სულ თითო-ოროჯობაა. რედაქციული სხვაობები **ჟ** რედაქციის სამსაფე ხელნაწერში უმნიშვნელოა. ამიტომ შესაძლებლად მივიჩნით ამ რედაქციის ყველა შენიშვნა ტექსტის ბოლოს გადაგვეტანა.

საჭიროა აღვნიშნოთ კიდევ ერთი რამ: **ჟ** რედაქციის ტექსტში ზოგი ისეთი რამ არის შესული, რაც მთლიანი რედაქციის კუთვნილება კი არ არის, არამედ ცალკეული ხელნაწერებისთვისაა დამახასიათებელი, ან შესაძლოა, სულაც შეცდომას წარმოადგენდეს ტექსტობრივ-შინაარსული თვალსაზრისით; ასეთებია სხვაობანი გრამატიკულ რიცხვსა და პირში, მწკრივებში და ზოგჯერ გააზრიანებაც, რომელიც ქართულ ნიადაგზეა წარმომდგარი. თხრობათი ხასიათის ტექსტში ასეთი ცვლილებანი ერთბაშად დაჩნდებოდა, მაგრამ ისეთ პოეტურ ნაწარმოებში, როგორიცაა ფსალმუნის, ამგვარ ცვლილებათა წარმოშობის საფუძვლის მიგნება საგანგებო ტექსტობრივი ანალიზის გარეშე ძნელია.

ჟ სვეტში შემავალ ხელნაწერთა საერთო წაკითხვები გვიჩვენებს, რომ ეს არის რედაქცია, რომელიც უფრო ახლოა ბერძნულთან, ვიდრე **С**; ეს უკანასკნელი კი უფრო ახლო ჩანს სირიულ-სომხურ ვერსიებთან.

დანართებში გამოქვეყნებულია ის თხზულებანი, რომლებიც **A** ხელნაწერში ფსალმუნის ტექსტს ერთვის თავსა და ბოლოში. ჩვენ გვსურდა, სრული სახით წარმოგვედგინა ეს ხელნაწერი, რომელიც მისი საყურადღებო შედგენილობის გამო დიდ ყურადღებას იქცევდა მკვლევართა შორის. ტექსტი გამოცემაში ხელუხლებლად დატოვებული, შესწორებები თუ დამატებები ყველგან აღნიშნულია სათანადოდ; გასწორებულია მხოლოდ ისეთი შეცდომები, რომლებიც გადაწერის დროს უნდა იყოს წარმომდგარი.

სათაურებსა და ავტორების ვინაობის ჩვენებაში ცვლილება არ შეგვიტანია.

¹ ის სათაურები, რომლებიც ჩვენი დამატებულია, კავებშია ჩასმული. ავტორთა ვინაობის შესახებ შდრ. R. Blake, *The Athos Codex of the Georgian O. T.*, გვ. 55; კ. კეკელიძე, *ქართული ლიტერატურის ისტორია*, 1, 1960, გვ. 417.

ქარაგმების გახსნისას აქაც იგივე წესია დაცული, რაც ამ სერიის სხვა გამოცემებში. თუ შესაძლებელია ქარაგმიანი სიტყვის სხვადასხვაგვარი წაკითხვა, ხელნაწერის ფორმა მითითებულია სქოლიოში. „უკუნისამდე“ და „ისრაელ“ სიტყვის სრული დაწერილობა (უმეტესად B-ში) სქოლიოებშიცაა ნაჩვენები. სადაც ქარაგმის გახსნა საძნელო იყო, სიტყვა ისეთივე სახით დავტოვეთ, როგორც ხელნაწერშია, მაგალითად, „აღ-ღ“ G-ში, რადგანაც არ ვიცოდით, იგი მისი გადამწერისათვის „აღლელია“ იყო, თუ „აღლილია“.

ფსალმუნი მუხლებად ამ გამოცემაში ისე დაეყავით, როგორც ეს მიღებულია თანამედროვე სამეცნიერო გამოცემებში (მაგალითად, ბერძნული სექტანტის Swete-ისეულში). ამიტომ ჩვენი მუხლებად დაყოფა აქა-იქ განსხვავდება აქამდე არსებულ ქართულ გამოცემათა დაყოფასთან შედარებით.

საკიროდ მივიჩინეთ, გამოცემაში გვეჩვენებინა აგრეთვე თვით A ხელნაწერის მუხლებად დაყოფა და მათი სათვალავი, რადგანაც ამას გარკვეული ნიშნენლობა აქვს ტექსტის ისტორიისათვის¹. A-ს მუხლთა სათვალავი მარჯვნივ არის გამოტანილი და დაბეჭდილია შავი ასოებით, ხოლო მუხლების დასაწყისი ნაჩვენებია მრგვლოვანი ასოებით. ფსალმუნის ბოლოს აღნიშნულია აგრეთვე მუხლთა რაოდენობა ფსალმუნში².

მუხლებად დაყოფის აღნიშვნა სხვა ხელნაწერებში არ არის ისე სისტემებრ გატარებული, როგორც A-ში: რიგობითი სათვალავი არსად არ არის, იშვიათად მიფითებულია (ისიც მხოლოდ B-სა და F-ში) ზოგიერთი ფსალმუნისა და გალობის მუხლთა რაოდენობა. უკანასკნელ შემთხვევაში F-ს სვეტში ყველგან სათანადო აღნიშვნა არის. დანარჩენ შემთხვევებში კი სათვალავის უქონლობა საგანგებოდ აღნიშნული აღარაა: იგულისხმება, რომ იგი იქ სრულეზით არ არის. მუხლთა სათვალავი არც L რედაქციის ხელნაწერებში არის. G-ს ტექსტი თითქმის მიყოლებითაა ნაწერი: თითო აბზაცში 2—3 და ზოგჯერ მეტი მუხლი შედის, H და L-ში კი თუმცა თვითეული მუხლი აბზაცით იწყება, მაგრამ რიგობითი სათვალავი არსად არ უხის.

„ღიაფსალმა“ ანუ „განსუენება“, რომელიც მხოლოდ აქა-იქ გვხვდება L რედაქციის ხელნაწერებში, მის სვეტში სწერია მხოლოდ იქ, სადაც ის ამა თუ იმ ხელნაწერში მოიპოვება. ფსალმუნთა სათაურები და „ღიდება“ და „თაყუანისცემა“ F-ს სვეტში ისეა ნაჩვენები, როგორც თვით ხელნაწერებში.

მუჰკალა შანიჰე.

24. 9. 1958

¹ სხვათა შორის, ეს მუხლები თვით ფსალმუნთა საძიებელშია დამოწმებული (გვ. 471-5).

² იმ შემთხვევაში, როცა ხელნაწერში მუხლთა რაოდენობა არასწორადაა ნაჩვენები, ხელნაწერის წაკითხვა ფრჩხილებშია მოცემული.

ՓԵՇԵՂՎԱԿԵՆ

ტ ა ბ უ ჯ ე ბ ი




ფსალმუნი. ხელნაწერი A. ჯვარი (ფ. 2 v).


წმ. უნდა ორგანიზაციის მოხელეებმა
 სამსახურისათვის მისი მოვლა
 დროს დასრულებული
წმ. ქრისტიანულ ბაქოში უნდა მოხდეს
 (საქართველოში) დასრულებული
 ამხანაგის დასრულებული
წმ. (გარდა, ცხ. უნდა დასრულებული
 ამხანაგის მოხელის
 მოვლას
წმ. ქრისტიანული მოხელის მოვლა
 მოხელის დასრულებული მოხელის
 მოხელის მოვლა
წმ. (საქართველოს დასრულებული მოხელის
 მოხელის დასრულებული მოხელის
 მოხელის მოვლა მოხელის
წმ. ქრისტიანული მოხელის მოვლა
 მოხელის დასრულებული მოხელის
 მოხელის მოვლა მოხელის


ტაბ. 4



ფსალმუნი, ხელნაწერი A. არაბული ციფრები (ფ. 246 v).








U ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ
 ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ
 ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ
 ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ
Դ ԱՄԻՆ ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ
 ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ
Ե ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ
 ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ
 ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ
 ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ
 ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՆՈՒՄԻ

անիւս պանիւս (պանիւս :
 Օրհնութիւն լուսնի տարապի մեծ
 մեծ դարուս արծնի դիմի միջմեծի :
 Ստորագրեալ լինի արտաւանիս աս
 պարտեակն լուսնի արտաւան : Ս
